ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge 05.01.2018. N010250050.35.123.016412/, კერძოდ, დადგენილების დანართის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ვ.ა“ ქვეპუნქტი:

,,ვ.ა) ინფორმაციას აწვდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტო“-ს (ს/კ: 412799093), მათ სამოქმედო ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან/და მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის ფაქტებზე.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 30 ივლისიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნიშნიანიძე